ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N 38

ქ. თბილისი თებერვალი 2023

ერთი მხრივ, **სსიპ ფერდინანდ თავაძის მეტალურგიისა და მასალათმცოდნეობის ინსტიტუტი,** წარმოდგენილი მისი დირექტორის, ზურაბ რუსიშვილის სახით, (შემდგომში ,,შემსყიდველი“) და მეორე მხრივ, **ი/მ მამული გამეზარდაშვილი** (პ/ნ 01024040937) (შემდგომში ,,მიმწოდებელი“) „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის 1-ლი პუნქტის „ს[1]“ ქვეპუნქტის საფუძველზე, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით დებენ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების ობიექტი

1.1. ხელშეკრულების ობიექტს წარმოადგენს: ფეხრალის მავთულის შეძენა **(CPV44333000)**.

1.2. შესყიდვის აღწერილობა და მოცულობა მოცემულია დანართი **N**1-ში, რომელიც თან ერთვის ამ ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

1.3. შესყიდვის განხორციელების საშუალება: გამარტივებული შესყიდვა (მონეტარული ზღვრების დაცვით).

2. ხელშეკრულების ფასი

2.1. ხელშეკრულების ფასი შეადგენს: 300.00 (სამასი) ლარს.

2.2. ხელშეკრულების ფასი საბოლოოა და ითვალისწინებს მიმწოდებლის ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს.

3. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადა

3.1. მიმწოდებელმა უზრუნველყოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტის მიწოდება არაუგვიანეს 2023 წლის 13 მარტისა.

3.2. მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულება დადასტურდება შესყიდვის ობიექტის მიწოდების შემდეგ შედგენილი მიღება-ჩაბარების აქტით.

4. ანგარიშსწორების ფორმა, ვადები და პირობები

4.1. ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით ეროვნულ ვალუტაში, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდგომ 5 (ხუთი) სამუშაო დღის განმავლობაში.

4.2. ანგარიშსწორება ხორციელდება 2023 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრებით.

5. უფლებების გადაცემა

5.1. მიმწოდებელს არა აქვს უფლება, შემსყიდველის წერილობითი თანხმობის გარეშე, მთლიანად ან ნაწილობრივ გადასცეს მესამე პირს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობები.

6. მხარეთა პასუხისმგებლობა

6.1. ფორსმაჟორული გარემოებების გარდა, ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულებისათვის, მხარეებს დაეკისრებათ პირგასამტეხლოს გადახდა, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შესასრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,02%-ის ოდენობით.

6.2. ხელშეკრულების შეუსრულებლობის, ან ნაწილობრივ შესრულების შემთხვევაში, შემსყიდველი უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება და დააკისროს მიმწოდებელს პირგასამტეხლო შესასრულებებლი ვალდებულებების ღირებულების 10%-ის ოდენობით.

7. ფორს-მაჟორი

7.1. ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს- მაჟორული გარემოების შედეგი.

7.2. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში, ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყონებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი2 ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელნი იქნებიან ფორსმაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

8. დავების გადაწყვეტა

8.1. მხარეთა შორის სადავო საკითხი წყდება მოლაპარაკების გზით. 30 დღის განმავლობაში შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, საკითხი განიხილება საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

9. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

9.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2023 წლის 20 აპრილის ჩათვლით.

10. სხვა პირობები

10.1. ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მას შემდეგ, როცა იგი წერილობით ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილი მხარეთა მიერ.

11. მხარეთა რეკვიზიტები:

შემსყიდველი:	**მიმწოდებელი:**
სსიპ ფერდინანდ თავაძის მეტალურგიისა და მასალათმცოდნეობის ინსტიტუტი;	ი/მ მამული გამეზარდაშვილი
მისამართი: ქ. თბილისი, მინდელის 8 ბ	პ/ნ 01024040937
საბანკო რეკვიზიტები: სახელმწიფო ხაზინა;	ქ. თბილისი, წერეთლის 118
ბანკის კოდი: TRESGE22	ს.ს. „საქართველოს ბანკი“
ა.ა. სახაზინო კოდი 7 0879 7235	ბანკის კოდი: BAGAGE22
ს.კ. 211346444	მიმღ: ანგ. № GE19BG0000000199728900
დირექტორი:	**მიმწოდებელი:**
ზ. რუსიშვილი	მ.გამეზარდაშვილი
Zurab Rusishvili Digitally signed by Zurab Rusishvili Date: 2023.02.28 14:05:05 +04'00'	

დანართი N1

ხელშეკრულების ობიექტი

#	**დასახელება**	განზ. ერთ.	რაოდენობა	ერთ. ფასი (დღგ-ს ჩათვლით), ლარი	საერთო ფასი (დღგ-ს ჩათვლით), ლარი	**CPV კოდი**
1	ფეხრალის მავთული 4მმ	კგ	6	50.00	300.00	44333000
				სულ:	**300.00**	